სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/32

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2021

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის შუალედური ფინანსური ანგარიშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოადგილის ნიკოლოზ ნებიერიძის 2021 წლის 10 სექტემბრის №0000896444 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის შუალედური ფინანსური ანგარიში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე